385
1964/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 21 (254) 3 აგვისტო 1964 წელი

შინაარსი

ნაწილი I

განყოფილება პირველი

365. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კონგოს რესპუბლიკაში (ბრაზავილში) სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ი. ს. სპიცკის დანიშვნის შესახებ.

366. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სომალის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან გ. ი. ფომინის გათავისუფლების შესახებ.

367. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ს. ბ. დიუკარევის სომალის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

(სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია)

368. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა კოლმეურნეობების წევრთა პენსიებისა და დახმარების შესახებ.

369. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და სახალხო მეურნეობის სხვა იმ დარგების მუშაკებისათვის ხელფასის მომატების შესახებ, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოსახლეობას.

370. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც შეიმუშავებს წინადადებებს, თუ რა წესითა და ოდენობით მოხდება გადარიცხვები კოლმეურნეობათა შემოსავლიდან კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში კოლმეურნეობების წევრთა პენსიებისა და დახმარების კანონის მიღებასთან დაკავშირებით.

371. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გათავისუფლების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

372. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ამხ. ა. ი. მიკოიანის არჩევის შესახებ.

373. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. ა. ი. მიკოიანის გათავისუფლების შესახებ.

374. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „სსრ კავშირის სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის საერთო-საკავშიროდან საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ გარდაქმნის შესახებ“.

375. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „სსრ კავშირის წყალსატევებში თევზჭერისა და თევზის რესურსების დაცვის წესების დარღვევის გამო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

376. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „იმის თაობაზე, რომ ნაწილობრივ შეიცვალოს 1953 წლის 8 აგვისტოს კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ“.

377. კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „სსრ კავშირის საბაჟო კოდექსის დამტკიცების შესახებ“.

378. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი სსრ კავშირის მინისტრების დანიშვნის შესახებ.

379. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი ამხ. ნ. თ. ჩისტიაკოვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ.

დადგენილებები კავშირის საბჭოსი

380. სამანდატო კომისიის მოხსენების გამო.

381. კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დეპუტატ შ. ჩ. ჩოკინის არჩევის შესახებ.

დადგენილებები ეროვნებათა საბჭოსი

382. სამანდატო კომისიის მოხსენების გამო.

383. დეპუტატ ბ. ნ. პონომარიოვის ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

განკოფილება მეორე

384. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. ეგოროვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

385. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. ალიხანოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

386. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა დნეპროპეტროვსკის მეტალურგიული მოწყობილობის ქარხნის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

387. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. ბლიუხერის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

388. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. ლისენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
389. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის ლეიტენანტ ვ. ვ. პორიკისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა ავსტრიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვ. ვოდაკმა.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს კომისიებში. საკონსტიტუციო კომისიის სხდომა.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

390. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ 1964 წლის პირველ ნახევარში.
391. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წულუკიძის რაიონის გამოჩინებულის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.
392. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ახალციხის, გორის, გეგეჭკორისა და დუშეთის რაიონებში ზოგიერთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ცვლილებათა შესახებ.

განყოფილება მეორე

393. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჯ. ჯაბარლის სახელობის კიროვაბადის სახელმწიფო დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

განყოფილება პირველი

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

365 კონგოს რესპუბლიკაში (ბრაზავილში) სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ი. ს. სპიცკის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ივანე სტეფანეს ძე **სპიცკი** კონგოს რესპუბლიკაში (ბრაზავილში) სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 18 ივლისი.
№ 2704-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

366 სომალის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან გ. ი. ფომინის გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს გენადი ივანეს ძე **ფომინი** სომალის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 21 ივლისი.
№ 2715-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

367 ს. პ. დიუკარევის სომალის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს სიმონ პეტრეს ძე **დიუკარევი** სომალის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 21 ივლისი.
№ 2716-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

(სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია)

კ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

368 კოლმეურნეობების წევრთა პენსიებისა და დახმარების შესახებ

საბჭოთა ხალხმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია, განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულში, უდიდეს წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში, ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებაში, შექმნა მძლავრი, ყოველმხრივ განვითარებული ეკონომიკა. ეს შესაძლებლობას აძლევს საბჭოთა სახელმწიფოს სისტემატურად გააუმჯობესოს ხალხის კეთილდღეობა და სულ უფრო სრულად დააკმაყოფილოს მისი მზარდი მოთხოვნილებანი.

ამჟამად არის შესაძლებლობა შემოღებულ იქნეს კოლმეურნეობებში სოციალური უზრუნველყოფის უფრო მყარი სისტემა მოხუცებულობის, ინვალიდობის გამო, მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში პენსიების დანიშვნის და კოლმეურნეობის წევრ ქალთათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების მიცემის გზით.

კოლმეურნეთა პენსიით უზრუნველყოფაში არ უნდა იყოს გათანაბრებითი მიდგომა. რაც უფრო მაღალია კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერება, რაც უფრო მეტ პროდუქციას აწარმოებს და აძლევს სახელმწიფოს კოლმეურნეობა ერთ ჰექტარ სახნავიდან, რაც უფრო დიდია მისი შემოსავალი და პენსიის ფონდში გადარიცხვის დონე, მით უფრო დიდი პენსია უნდა ჰქონდეთ კოლმეურნეებს. უკეთ უნდა იყონ უზრუნველყოფილი ის კოლმეურნეები, რომლებიც კარგად მუშაობენ და რომლებსაც მეტი წვლილი შეაქვთ საზოგადოებრივ წარმოებაში.

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემის შემოღება კოლმეურნე გლეხობის შრომითი აქტივობის შემდგომი აღმავლობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ახალი დიდმნიშვნელოვანი სტიმული იქნება.

ამ კანონით გათვალისწინებული პენსიების ოდენობა შემდგომში, ეროვნული შემოსავლის, კერძოდ, კოლმეურნეობათა შემოსავლის ზრდის კვალობაზე, თანდათან გაიზრდება და მიაღწევს იმ სახელმწიფო პენსიების დონეს, რომლებიც მუშებსა და მოსამსახურეებს ენიშნებათ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო

ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კოლმეურნეობათა წევრებს აქვთ მოხუცებულობისა და ინვალიდობის გამო პენსიის მიღების უფლება.

გარდაცვლილი კოლმეურნის ოჯახის შრომისუუნარო წევრებს, თუ ისინი გარდაცვლილის კმაყოფაზე იყვნენ, აქვთ უფლება მიიღონ პენსია მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში.

მუხლი 2. კოლმეურნეობის წევრ ქალებს აქვთ უფლება მიიღონ დახმარება ორსულობისა და მშობიარობის გამო.

მუხლი 3. კოლმეურნეებსა და მათი ოჯახების წევრებს, რომლებსაც ერთსა და იმავე დროს აქვთ სხვადასხვა პენსიის ჰიღების უფლება, ენიშნებათ ერთი პენსია მათი არჩევით.

მუხლი 4. პენსიისა და დახმარების გაცემა ამ კანონის შესაბამისად უზრუნველყოფილია კოლმეურნეობებისა და სახელმწიფოს სახსრებით, ისე რომ კოლმეურნეობების წევრების შემოსავლიდან არაფერი არ დაიქვითება.

მუხლი 5. პენსიები გადასახადებით არ იბეგრება.

II. პენსიები

მუხლი 6. უფლება, რომ მიიღონ პენსია მოხუცებულობის გამო, აქვთ კოლმეურნეობათა წევრებს:

მამაკაცებს — როცა მიაღწევენ 65 წელს და აქვთ სულ ცოტა 25 წლის მუშაობის სტაჟი;

ქალებს — როცა მიაღწევენ 60 წელს და აქვთ სულ ცოტა 20 წლის მუშაობის სტაჟი.

მუხლი 7. კოლმეურნეობათა წევრ ქალებს, რომლებმაც შობეს ხუთ-ხუთი ან მეტი შვილი და გაზარდეს ისინი რვა წლის ასაკამდე, აქვთ უფლება მიიღონ პენსია მოხუცებულობის გამო, როცა მიაღწევენ 55 წელს და ექნებათ სულ ცოტა 15 წლის მუშაობის სტაჟი.

მუხლი 8. მოხუცებულობის გამო პენსია კოლმეურნეობათა წევრებს, თუ მათი შემოსავალი თვეში 50 მანეთამდეა, ენიშნებათ თვიური შემოსავლის 50 პროცენტის ოდენობით და, გარდა ამისა, დანარჩენი შემოსავლის 25 პროცენტის ოდენობით.

მოხუცებულობის გამო პენსიის მინიმალურ ოდენობად წესდება 12 მანეთი თვეში.

მოხუცებულობის გამო პენსიის მაქსიმალურ ოდენობად წესდება 102 მანეთი თვეში, ესე იგი მოხუცებულობის გამო პენსიის იმ მაქსიმალური ოდენობის დონეზე, რაც გათვალისწინებულია კანონით იმ მუშებისა და მოსამსახურეების სახელმწიფო პენსიების შესახებ, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სოფლად და დაკავშირებულნი არიან სოფლის მეურნეობასთან.

№ 241625 ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 9. უფლება, რომ მიიღონ პენსია ინვალიდობის გამო, კოლმეურნეობის წევრებს აქვთ I ან II ჯგუფის ინვალიდობის დადგომის შემთხვევაში.

მუხლი 10. პენსია შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების შედეგად დამდგარი ინვალიდობის გამო კოლმეურნეობათა წევრებს ენიშნებათ მუშაობის სტაჟის მიუხედავად.

პენსია საერთო დაავადების ან ისეთი დასახიჩრების შედეგად, რაც სამუშაოსთან არის დაკავშირებული, დამდგარი ინვალიდობის გამო კოლმეურნეობათა წევრებს ენიშნებათ, თუ პენსიის მოთხოვნის დროისათვის აქვთ მუშაობის შემდეგი სტაჟი

ასაკი	მუშაობის სტაჟი (წლები) მამაკაცები	ქალები
20 წლამდე	1	1
20 წლიდან 23 წლამდე	2	1
23 წლიდან 26 წლამდე	3	2
26 წლიდან 31 წლამდე	5	3
31 წლიდან 36 წლამდე	7	5
36 წლიდან 41 წლამდე	10	7
41 წლიდან 46 წლამდე	12	9
46 წლიდან 51 წლამდე	14	11
51 წლიდან 56 წლამდე	16	13
56 წლიდან 61 წლამდე	18	14
61 წლისას და უფრო ხნიერს	20	15

მუხლი 11. პენსია ინვალიდობის გამო კოლმეურნეობათა წევრებს ენიშნებათ შემდეგი ოდენობით:

I ჯგუფის ინვალიდებს — 50 პროცენტი, თუ მათი შემოსავალი თვეში 50 მანეთამდეა და, გარდა ამისა, დანარჩენი შემოსავლის 25 პროცენტი.

II ჯგუფის ინვალიდებს — 40 პროცენტი, თუ მათი შემოსავალი თვეში 50 მანეთამდეა და, გარდა ამისა, დანარჩენი შემოსავლის 25 პროცენტი.

პენსიების მინიმალურ ოდენობად წესდება: I ჯგუფის ინვალიდებისათვის — 15 მანეთი, II ჯგუფის ინვალიდებისათვის — 12 მანეთი თვეში.

შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების შედეგად დამდგარი ინვალიდობის შემთხვევაში პენსიები, რომლებიც გამოანგარიშებულია ზემოთ დაწესებული ნორმების მიხედვით (მათ შორის მინიმალური), 20 პროცენტით დიდდება.

ინვალიდობის გამო პენსიების მაქსიმალურ ოდენობად წესდება ინვალიდობის გამო პენსიების იმ მაქსიმალური ოდენობის დონეზე, რაც გათვალისწინებულია კანონით იმ მუშებისა და მოსამსახურეების სახელმწიფო პენსიების შესახებ, რომლებიც მუდამ ცხოვრობენ სოფლად და დაკავშირებული არიან სოფლის მეურნეობასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 12. უფლება, რომ მიიღონ პენსია მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში, აქვთ გარდაცვლილი კოლმეურნის ოჯახის შრომისუუნარო წევრებს, რომლებიც მის კმაყოფაზე იყვნენ.

ოჯახის შრომისუუნარო წევრები არიან:

1) შვილები, ძმები, დები და შვილიშვილები, რომლებსაც 16 წლის ასაკისათვის არ მიუღწევიათ (მოსწავლენი — 18 წლის ასაკამდე), ან ამ ასაკზე უფროსები, თუ ისინი გახდნენ I ან II ჯგუფის ინვალიდები 16 წლის ასაკამდე (მოსწავლენი — 18 წლის ასაკამდე); ამასთან ძმები, დები და შვილიშვილები იმ პირობით, თუ არა ჰყავთ შრომისუნარიანი მშობლები;

2) მამა, დედა, ცოლი, ქმარი, თუ მიაღწიეს ასაკს:

მამაკაცებმა — 65 წელს, ქალებმა — 60 წელს, ან არიან I ან II ჯგუფის ინვალიდები;

3) პაპა და დიდედა, თუ მიაღწიეს ასაკს შესაბამისად 65 და 60 წელს, ან არიან I ან II ჯგუფის ინვალიდები და არა ჰყავთ არავინ, ვინც კანონით ვალდებულია არჩინოს ისინი.

გარდაცვლილის შვილებსა და შრომისუუნარო მშობლებს, რომლებიც არ იყვნენ მის კმაყოფაზე, აქვთ უფლება მიიღონ პენსია მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში, თუ შემდგომში მათ დაკარგეს არსებობის საშუალებათა წყარო.

შვილად ამყვანს პენსიის უფლება აქვს მშობლების თანაბრად, ხოლო შვილად აყვანილს — ღვიძლი შვილების თანაბრად.

მუხლი 13. იმ კოლმეურნეთა ოჯახებს, რომლებიც გარდაიცვალნენ შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების შედეგად, პენსიები ენიშნებათ მარჩენალის მუშაობის სტაჟის მიუხედავად.

იმ კოლმეურნეთა ოჯახებს, რომლებიც გარდაიცვალნენ საერთო დაავადების ან ისეთი დასახიჩრების შედეგად, რაც დაკავშირებული არ იყო სამუშაოსთან, პენსია ენიშნებათ, თუ მარჩენალს ჰქონდა სტაჟი, რომელიც აუცილებელი იყო, რომ მისთვის ინვალიდობის პენსია დაენიშნათ.

მუხლი 14. მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში პენსიები ენიშნებათ შემდეგი ოდენობით:

ოჯახის სამ ან მეტ შრომისუუნარო წევრს — 50 პროცენტი, თუ მარჩენალის შემოსავალი თვეში 50 მანეთამდეა და, გარდა ამისა, მარჩენალის დანარჩენი შემოსავლის 25 პროცენტი;

ოჯახის ორ შრომისუუნარო წევრს — 40 პროცენტი, თუ მარჩენალის შემოსავალი თვეში 50 მანეთამდეა და, გარდა ამისა, მარჩენალის დანარჩენი შემოსავლის 25 პროცენტი;

ოჯახის ერთ შრომისუუნარო წევრს — 30 პროცენტი, თუ მარჩენალის შემოსავალი თვეში 50 მანეთამდეა და, გარდა ამისა, მარჩენალის დანარჩენი შემოსავლის 10 პროცენტი.

პენსიათა მინიმალურ ოდენობად წესდება: ოჯახის სამი ან მეტი შრომისუუნარო წევრისათვის — 15 მანეთი, ოჯახის ორი შრომისუუნარო წევრისათვის — 12 მანეთი და ოჯახის ერთი შრომისუუნარო წევრისათვის — 9 მანეთი თვეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების შედეგად მარჩენლის დაკარგვის შემთხვევაში ზემოთ დაწესებული ნორმებით გამოანგარიშებულ პენსიებს (მათ შორის მინიმალურს) ემატება 20 პროცენტი.

მარჩენლის დაკარგვის გამო პენსიათა მაქსიმალური ოდენობა წესდება მარჩენლის დაკარგვის გამო პენსიათა იმ მაქსიმალური ოდენობის დონეზე, რაც გათვალისწინებულია კანონით იმ მუშებისა და მოსამსახურეების სახელმწიფო პენსიების შესახებ, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სოფლად და დაკავშირებული არიან სოფლის მეურნეობასთან.

მუხლი 15. პენსიების დანიშვნისას მუშაობის სტაჟში ითვლება:

1) მუშაობა კოლმეურნეობის წევრად;

2) მუშაობა მუშად ან მოსამსახურედ, სამსახური სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში და პარტიზანულ რაზმებში ყოფნა, აგრეთვე სხვა პერიოდები, რომლებიც უნდა ჩაითვალოს მუშაობის სტაჟში სახელმწიფო პენსიების კანონით პენსიების დანიშვნის დროს.

მუხლი 16. პენსიები გამოიანგარიშება საშუალო თვიური ფაქტიური შემოსავლიდან კოლმეურნეობაში მუშაობისათვის პენსიაზე გასვლამდე უკანასკნელ 15 წლიდან რომელიმე 5 წელიწადში ზედიზედ (პენსიის მომთხოვნის არჩევით).

კოლმეურნეობათა წევრებს, რომლებმაც კოლმეურნეობაში 5 წელზე ნაკლები იმუშავეს, და კოლმეურნეთა წევრების ოჯახებს, რომლებმაც დაკარგეს მარჩენალი, ვისაც კოლმეურნეობაში 5 წელზე ნაკლები უმუშავია, პენსიები დაენიშნებათ კოლმეურნეობაში ნამუშევარი დროის საშუალო თვიური ფაქტიური შემოსავლიდან.

მუხლი 17. კოლმეურნეობათა წევრ პენსიონერებს, რომლებმაც პენსიის დანიშვნის შემდეგ იმუშავეს კოლმეურნეობაში სულ ცოტა ორი წელი უფრო დიდი შემოსავლით, ვიდრე ის, რომლიდანაც გამოანგარიშებულია პენსია, უწესდებათ პენსიის ახალი ოდენობა ამ, უფრო დიდი შემოსავლის გათვალისწინებით.

III. დახმარება კოლმეურნეობათა წევრ ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო

მუხლი 18. კოლმეურნეობათა წევრ ქალებს, მიუხედავად მუშაობის სტაჟისა, უფლება აქვთ მიიღონ დახმარება ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების დროს.

ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება ეძლევათ 56 კალენდარული დღით მშობიარობამდე და 56 კალენდარული დღით მშობიარობის შემდეგ, ხოლო არანორმალური მშობიარობის, ორი ან მეტი ბავშვის დაბადების შემთხვევაში — 70 კალენდარული დღით მშობიარობის შემდეგ.

მუხლი 19. კოლმეურნეობათა წევრ ქალებს დახმარება ორსულობისა და მშობიარობის გამო ენიშნებათ ისეთივე წესითა და ისეთივე ნორმებით, როგორც მუშა ქალებისა და მოსამსახურე ქალებს.

მოსკოვი ბიბლიოთეკა

IV. პენსიებისა და დახმარების გასაცემი სახსრები

მუხლი 20. ამ კანონით გათვალისწინებული პენსიებისა და დახმარების გასაცემად იქმნება კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდი კოლმეურნეობათა შემოსავლიდან გადარიცხვებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტით ყოველწლიურ ასიგნებათა ხარჯზე.

მუხლი 21. ყველა კოლმეურნეობა, 1964 წლიდან დაწყებული, აწარმოებს ფულად გადარიცხვებს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში იმ ოდენობით, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო განსაზღვრავს.

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში გადასარიცხი სახსრები გამოირიცხება კოლმეურნეობათა შემოსავლიდან საშემოსავლო გადასახადით მისი დაბეგვრის დროს.

V. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 22. კოლმეურნეობებს, სადაც კოლმეურნეთა პენსიები სჭარბობს ამ კანონით დადგენილ პენსიის ოდენობას, შეუძლიათ შეინარჩუნონ პენსიების ოდენობა და შესაბამისი დამატებითი გადახდა აწარმოონ კოლმეურნეობის სახსრების ხარჯზე.

მუხლი 23. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამ კანონის საფუძველზე გამოსცეს:

1) დებულება კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიების დანიშვნისა და მიცემის წესის შესახებ;

2) დებულება კოლმეურნეობათა წევრი ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების დანიშვნისა და მიცემის წესის შესახებ;

3) დებულება კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის შესახებ.

კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიების დანიშვნისა და მიცემის წესის დებულებაში, კერძოდ, გათვალისწინებულ იქნეს პირობები პენსიების დანიშვნისა:

იმ რესპუბლიკებისა და ოლქების კოლმეურნეობათა წევრებისათვის, სადაც კოლმეურნეობები შეიქმნა უფრო გვიან, ვიდრე ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში;

კოლმეურნეობათა წევრებისათვის, რომლებიც კოლმეურნეობებში შევიდნენ კოლექტივიზაციის პირველ წლებში, მაგრამ მოხუცებულობის ან ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალიდობის შედეგად შეწყვიტეს მუშაობა კოლმეურნეობაში და არა აქვთ პენსიის დანიშვნისათვის საჭირო მუშაობის სტაჟი.

მუხლი 24. ეს კანონი ძალაში შედის 1965 წლის 1 იანვრიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 ივლისი.

№ 2688-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალიდობის შედეგად შეწყვიტეს მუშაობა კოლმეურნეობაში და არა აქვთ პენსიის დანიშვნისათვის საჭირო მუშაობის სტაჟი.

მუხლი 24. ეს კანონი ძალაში შედის 1965 წლის 1 იანვრიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 ივლისი.

№ 2688-VI.

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

369 განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და სახალხო მეურნეობის სხვა იმ დარგების მუშაკებისათვის ხელფასის მომატების შესახებ, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოსახლეობას

იმ მიზნით, რომ განხორციელდეს სკკპ პროგრამით დასახული ამოცანები სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგში, შემდგომ გაუმჯობესდეს მასწავლებელთა, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სახალხო მეურნეობის სხვა იმ დარგების მუშაკთა მატერიალური კეთილდღეობა, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოსახლეობას, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიერ შემუშავებული ღონისძიებანი განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და სახალხო მეურნეობის სხვა იმ დარგების მუშაკებისათვის ხელფასის მომატების შესახებ, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოსახლეობას. ეს ღონისძიებანი განგრძობაა მუშაობისა სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა ხელფასის მომატებისა და მოწესრიგებისათვის.

მუხლი 2. 1964—1965 წლებში განხორციელდეს სახალხო მეურნეობის იმ დარგების მუშაკთათვის ხელფასის მომატება, რომლებიც აღნიშნულია ამ კანონის პირველ მუხლში, საშუალოდ 21 პროცენტით, მათ შორის განათლების მუშაკებისა — საშუალოდ 25 პროცენტით, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისა — 23 პროცენტით, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკებისა — 18 პროცენტით და საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკებისა — 15 პროცენტით.

მუხლი 3. დამთავრდეს ყველგან მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის მინიმალური ოდენობის გადიდება 40-45 მანეთამდე თვეში და ამავე დროს ხელფასი გაუდიდდეთ სახალხო მეურნეობის იმ დარგების მუშაკებს, რომლებიც აღნიშნულია ამ კანონში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 ივლისი.

№ 2689-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

370 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც შეიმუშავებს წინადადებებს, თუ რა წესით და ოდენობით მოხდება გადარიცხვები კოლმეურნეობათა შემოსავლიდან კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში კოლმეურნეობების წევრთა პენსიებისა და დახმარების კანონის მიღებასთან დაკავშირებით

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. შეიქმნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისია, რომელიც შეიმუშავებს წინადადებებს, თუ რა წესით და ოდენობით მოხდება გადარიცხვები კოლმეურნეობათა შემოსავლიდან კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში კოლმეურნეობათა წევრების პენსიებისა და დახმარების კანონის მიღებასთან დაკავშირებით.

2. კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნან შემდეგი დეპუტატები:

კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ივანეს ძე **ვორობიოვი** — დეპუტატი კრასნოდარის მხარის ლაბინსკის საარჩევნო ოლქისაგან.

კომისიის წევრები:

ასკერბი კასპოტის ძე **ბედანოკოვი** — დეპუტატი ადიღეს ავტონომიური ოლქის კოშეხაბლის საარჩევნო ოლქისაგან.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **ბეკერი** — დეპუტატი ალტაის მხარის რუბცოვსკის საარჩევნო ოლქისაგან.

ალექსანდრე პანკრატის ძე **ბოჩკარიოვი** — დეპუტატი სარატოვის ოლქის სარატოვის სასოფლო საარჩევნო ოლქისაგან.

ალექსანდრე გრიგოლის ძე **ბუზნიცკი** — დეპუტატი კიევის ოლქის ბოგუსლავის საარჩევნო ოლქისაგან.

გალინა ევგენის ასული **ბურკაცკაია** — დეპუტატი უკრაინის სსრ ჩერკასის საარჩევნო ოლქისაგან.

ვასილ თევდორეს ძე **გარბუზოვი** — დეპუტატი რუსეთის სფსრ უფის საარჩევნო ოლქისაგან.

ნიკოლოზ ნიკიტას ძე **გოლოვაცკი** — დეპუტატი ალმა-ატას ოლქის ტალდიკურგანის საქალაქო საარჩევნო ოლქისაგან.

თევდორე სტეფანეს ძე **გორიაჩევი** — დეპუტატი ნოვოსიბირსკის ოლქის ნოვოსიბირსკის სასოფლო საარჩევნო ოლქისაგან.

აკიმ ვასილის ძე **გორშკოვი** — დეპუტატი ვლადიმირის ოლქის გუსხრუსტალნის საარჩევნო ოლქისაგან.

ვასილ ვასილის ძე **გრაჩოვი** — დეპუტატი კურსკის ოლქის დმიტრიევკის საარჩევნო ოლქისაგან.

ალექსანდრე ფილიპეს ძე **დიორდიცა** — დეპუტატი მოლდავეთის სსრ ფალეშტის საარჩევნო ოლქისაგან.

მუზ. 370
ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე პეტრეს ძე **ვოლკოვი** — დეპუტატი აჭარის ასსრ ბიბლიოთეკა ლენინის საარჩევნო ოლქისაგან.

ბორის მიხეილის ძე **ვოლოდინი** — დეპუტატი ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის ზელენჩუკის საარჩევნო ოლქისაგან.

ნიზორამო **ზარიპოვა** — დეპუტატი ტაჯიკეთის სსრ პარხარის საარჩევნო ოლქისაგან.

ტოპჩიბაი **იუნუსოვი** — დეპუტატი ყირგიზეთის სსრ ყარა-სუს საარჩევნო ოლქისაგან.

იოხანეს იანის ძე **იუტსი** — დეპუტატი ესტონეთის სსრ პილვასის საარჩევნო ოლქისაგან.

ნინო ევგენის ასული **იარანცევა** — დეპუტატი კიროვის ოლქის იარანსკის საარჩევნო ოლქისაგან.

ვასილ მიხეილის ძე **კავუნი** — დეპუტატი ვინიცის ოლქის ბერშადის საარჩევნო ოლქისაგან.

ვასილ გრიგოლის ძე **კომიახოვი** — დეპუტატი პოლტავის ოლქის რეშეტილოვკის საარჩევნო ოლქისაგან.

ვასილ ივანეს ძე **კონოტოპი** — დეპუტატი მოსკოვის ოლქის ეგორიევსკის საარჩევნო ოლქისაგან.

თევდორე დავითის ძე **კულაკოვი** — დეპუტატი სტავროპოლის მხარის იზობილნოეს საარჩევნო ოლქისაგან.

ნიკოლოზ გრიგოლის ძე **ლავრინენკო** — დეპუტატი ამურის ოლქის ბელოგორსკის საარჩევნო ოლქისაგან.

იუსტინე ტოდორის ძე **ლიჩუკი** — დეპუტატი უკრაინის სსრ სტანისლავის საარჩევნო ოლქისაგან.

ვლადიმერ ელისეს ძე **ლობანოკი** — დეპუტატი ბელორუსიის სსრ გლუბოკოეს საარჩევნო ოლქისაგან.

ეკატერინე დენისის ასული **ლუკიანენკო** — დეპუტატი კრასნოიარსკის მხარის უიარსკის საარჩევნო ოლქისაგან.

ბალჟინიმა **მაჟიევი** — დეპუტატი აგის ბურიატთა ეროვნული ოკრუგის აგის ბურიატთა საარჩევნო ოლქისაგან.

ნუსრათ ხუდუ ოღლი **მამედოვი** — დეპუტატი აზერბაიჯანის სსრ მასალის საარჩევნო ოლქისაგან.

გრიგოლ ანდრიას ძე **მელნიკი** — დეპუტატი ცელინოგრადის ოლქის ლენინის საარჩევნო ოლქისაგან.

ლეონიდე გაბრიელის ძე **მონაშევი** — დეპუტატი კურსკის ოლქის შჩიგრის საარჩევნო ოლქისაგან.

ბალიშ **ოვეზოვი** — დეპუტატი თურქმენეთის სსრ აშხაბადის საარჩევნო ოლქისაგან.

კირილე პროკოფის ძე **ორლოვსკი** — დეპუტატი მოგილიოვის ოლქის ბობრუისკის საარჩევნო ოლქისაგან.

მაკარ ონისიმეს ძე **პოსმიტნი** — დეპუტატი ოდესის ოლქის რაზდელნაიას საარჩევნო ოლქისაგან.

დომნა ივანეს ასული **პროსვიროვა** — დეპუტატი ვოლგოგრადის ოლქის ყალაჩის საარჩევნო ოლქისაგან.

9 369

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაბარ **რასულოვი** — დეპუტატი ტაჯიკეთის სსრ კურგან-ტიუბეს საარჩევნო ოლქისაგან.

ვიტალი პეტრეს ძე **რუბენი** — დეპუტატი ლატვიის სსრ ცესისის საარჩევნო ოლქისაგან.

ვლადიმერ ნიკონის ძე **სტაროვსკი** — დეპუტატი კომის ასსრ პეჩორის საარჩევნო ოლქისაგან.

კამბულატ კიცუს ძე **ტარჩოკოვი** — დეპუტატი ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ მაისის საარჩევნო ოლქისაგან.

ტროფიმე კირილეს ძე **ტრეტიაკოვი** — დეპუტატი კრასნოდარის მხარის ტიმაშევსკის საარჩევნო ოლქისაგან.

ლიდია პეტრეს ასული **ტუპიკი** — დეპუტატი ბელორუსიის სსრ ლიდის საარჩევნო ოლქისაგან.

ედგარ გუსტავის ძე **ტინურისტი** — დეპუტატი ესტონეთის სსრ პიარნუს სასოფლო საარჩევნო ოლქისაგან.

ხამრაკულ **ტურსუნკულოვი** — დეპუტატი უზბეკეთის სსრ კალინინის საარჩევნო ოლქისაგან.

მაჰომედ-სალამ ილიასის ძე **უმახანოვი** — დეპუტატი დაღესტნის ასსრ დერბენტის საარჩევნო ოლქისაგან.

ტურდაკუნ უსუბალის ძე **უსუბალიევი** — დეპუტატი ყირგიზეთის სსრ ოშის საარჩევნო ოლქისაგან.

ანტონ ერვანდის ძე **ქოჩინიანი** — დეპუტატი სომხეთის სსრ სევანის საარჩევნო ოლქისაგან.

ვასილ ივანეს ძე **შინკევიჩი** — დეპუტატი ალტაის მხარის ბლაგოვეშჩენსკის საარჩევნო ოლქისაგან.

ალექსანდრე კონსტანტინეს ძე **შტირბუ** — დეპუტატი მოლდავეთის სსრ ედინცის საარჩევნო ოლქისაგან.

ალექსანდრე პავლეს ძე **შუმკინი** — დეპუტატი ულიანოვსკის ოლქის ნოვოსპასკის საარჩევნო ოლქისაგან.

პოვილას-იურგის იონის ძე **ჩეპულისი** — დეპუტატი ლიტვის სსრ ბირჟაის საარჩევნო ოლქისაგან.

ტატიანა ნესტორის ასული **ჩხაიძე** — დეპუტატი საქართველოს სსრ მახარაძის საარჩევნო ოლქისაგან.

ვალენტინა გრიგოლის ასული **ხილკევიჩი** — დეპუტატი ვლადიმირის ოლქის ალექსანდროვის საარჩევნო ოლქისაგან.

ატაყულ **ჰუსანოვი** — დეპუტატი სამარყანდის ოლქის კატაკურგანის საარჩევნო ოლქისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 ივლისი.

№ 2690-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

371 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გათავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

იმის გამო, რომ ამხ. ლეონიდე ილიას ძე **ბრეჟნევი** დატვირთულია სამუშაოთი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, გათავისუფლდეს იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 ივლისი.
№ 2691-VI.

დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

372 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ამხ. ა. ი. მიქოიანის არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამხ. ანასტას ივანეს ძე **მიქოიანი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ი. შარიპოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 ივლისი.
№ 2692-VI.

დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

373 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. ა. ი. მიქოიანის გათავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმასთან დაკავშირებით, რომ ამხ. ანასტას ივანეს ძე **მიქოიანი** არჩეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ, გათავისუფლდეს იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ი. შარიპოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 ივლისი.

№ 2693-VI.

კ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

374 იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება „სსრ კავშირის სამეცნიერო-საკვლეო სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის საერთო-საკავშიროდან საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ გარდაქმნის შესახებ“

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 25 იანვრის გრძანებულება „სსრ კავშირის სამეცნიერო-საკვლეო სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის საერთო-საკავშირო ორგანოდან საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ გარდაქმნის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 ივლისი.

№ 2694-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

375 იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება „სსრ კავშირის წყალსატევებში თევზჭერისა და თევზის რესურსების დაცვის წესების დარღვევის გამო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 27 მარტის გრძანებულება „სსრ კავშირის წყალსატევებში თევზჭერისა და თევზის რესურსების დაცვის წესების დარღვევის გამო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 ივლისი.
№ 2695-VI.

კ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

376 იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება „იმის თაობაზე, რომ ნაწილობრივ შეიცვალოს 1953 წლის 8 აგვისტოს კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ“

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 7 აპრილის გრძანებულება „იმის თაობაზე, რომ ნაწილობრივ შეიცვალოს 1953 წლის 8 აგვისტოს კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 ივლისი.
№ 2696-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

377 იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება „სსრ კავშირის საბაჟო კოდექსის დამტკიცების შესახებ“

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 5 მაისის გრძანებულება „სსრ კავშირის საბაჟო კოდექსის დამტკიცების შესახებ.“

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიჭოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 ივლისი.
№ 2697-VI.

დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

378 იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებანი სსრ კავშირის მინისტრების დანიშვნის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს დამტკიცებულ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებანი:

1964 წლის 24 იანვრისა — ამხ. კონსტანტინე ივანეს ძე **ბრეხოვის** სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1964 წლის 24 იანვრისა —ამხ. ვიქტორ სტეფანეს ძე **ფეოდოროვის** სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1964 წლის 7 აპრილისა —სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ალექსანდრე იაკობის ძე **რიაბენკოს** სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიჭოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 ივლისი.
№ 2698-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

379 ამხ. ნ. თ. ჩისტიაკოვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამხ. ნიკოლოზ თევდორეს ძე **ჩისტიაკოვი** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრად და დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 15 აპრილის ბრძანებულება ამ საკითხზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი 1964 წლის 15 ივლისი.

№ 2699-VI.

დადგენილებები კავშირის საბჭოსი

380 სამანდატო კომისიის მოხსენების გამო

კავშირის საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება და დაადგინა ცნობილ იქნეს რწმუნებანი კავშირის საბჭოს დეპუტატებისა:

მიხეილ ნიკოლოზის ძე **ზახაროვისა,** რომელიც არჩეულია 1964 წლის 19 აპრილს ზღვისპირეთის № 93 საარჩევნო ოლქში;

ირაიდა მიხეილის ასულ **დოდონოვასი,** რომელიც არჩეულია 1964 წლის 26 აპრილს ტაგანროგის № 301 საარჩევნო ოლქში;

ვასილ სტეფანეს ძე **პერევიაზკოსი,** რომელიც არჩეულია 1964 წლის 26 აპრილს ნადვორნაიას № 556 საარჩევნო ოლქში;

შაფიკ ჩოკინის ძე **ჩოკინისა,** რომელიც არჩეულია 1964 წლის 26 აპრილს ჯეზკაზგანის № 679 საარჩევნო ოლქში.

მოსკოვი, კრემლი 1964 წლის 13 ივლისი.

381 კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დეპუტატ შ. ჩ. ჩოკინის არჩევის შესახებ

კავშირის საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დეპუტატი შაფიკ ჩოკინის ძე **ჩოკინი.**

მოსკოვი, კრემლი 1964 წლის 13 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილებები ეროვნებათა საბჭოსი

382 სამანდატო კომისიის მოხსენების გამო

ეროვნებათა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება და დაადგინა ცნობილ იქნეს რწმუნებანი ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებისა:

ალექსანდრე ივანეს ძე **ბარაევისა**, რომელიც არჩეულია 1963 წლის 22 დეკემბერს ყაზახეთის სსრ პეტროპავლოვსკის № 118 სასოფლო საარჩევნო ოლქში;

ნიკოლოზ მიხეილის ძე **სკომოროხოვისა**, რომელიც არჩეულია 1963 წლის 22 დეკემბერს 648-ე საარჩევნო ოლქში;

ნიკოლოზ ანდრიას ძე **ბელუხასი**, რომელიც არჩეულია 1964 წლის 5 აპრილს ლატვიის სსრ დაუგავპილსის № 240 სასოფლო საარჩევნო ოლქში.

მოსკოვი, კრემლი 1964 წლის 13 ივლისი.

383 დეპუტატ ბ. ნ. პონომარიოვის ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

ეროვნებათა საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ დეპუტატი ბორის ნიკოლოზის ძე **პონომარიოვი.**

მოსკოვი, კრემლი 1964 წლის 13 ივლისი.

განკოფილება მეორე

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

384 ამხ. ა. ა. ეგოროვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამამულო მეღვინეობის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოცდაათ წელთან დაკავშირებით ღვინის კომბინატ „მასანდრას“ მთავარი მეღვინე, ტექნოლოგი-კონსულტანტი ამხ. ალექსანდრე ალექსის ძე **ეგოროვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 18 ივლისი.

№ 2701-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

385 ამხ. ა. ი. ალიხანოვის შომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საგარეო ეკონომიურ კავშირურთიერთობათა განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიურ კავშირურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. არტემ ივანეს ძე **ალიხანოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 18 ივლისი.

№ 2702-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

386 დნეპროპეტროვსკის მეტალურგიული მოწყობილობის ქარხნის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიდი მიღწევებისათვის მეტალურგიული მრეწველობის დიდმწარმოებლური მოწყობილობით აღჭურვის საქმეში და დაარსების 50 წელთან დაკავშირებით **დნეპროპეტროვსკის მეტალურგიული მოწყობილობის ქარხანა** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 18 ივლისი.

№ 2703-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

387 ამხ. ვ. ვ. ბლიუხერის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიდი სამამულო ომის დროს ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობის და თავგანწირულობისათვის ამხ. ვსევოლოდ ვასილის ძე **ბლიუხერი** დაჯილდოვდეს **წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 18 ივლისი.
№ 2706-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

388 ამხ. ვ. ვ. ლისენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ტერნოპოლის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვასილ ვასილის ძე **ლისენკო** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი 1964 წლის 20 ივლისი.
№ 2712-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

389 საბჭოთა არმიის ლეიტენანტ ვ. ვ. პორიკისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საფრანგეთში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს გამოჩენილი გმირობისა და მამაცობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის საბჭოთა არმიის ლეიტენანტ ვასილ ვასილის ძე **პორიკს** მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 21 ივლისი.

№ 2714-VI.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა ავსტრიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვ. ვოდაკმა.

17 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიქოიანმა კრემლში მიიღო ავსტრიის ახალი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვალტერ ვოდაკი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ მრჩეველი კ. ვოლფი, ატაშეები დ. ბუკოვსკი და მ. პამერი, სამხედრო და სამხედრო-საჰაერო ატაშე პოლკოვნიკი კ. ნიმეცი და საელჩოს სხვა დიპლომატიური თანამშრომლები.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგე ვ. გ. ვისოტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები ი. ი. ილიჩოვი და თ. თ. მოლოჩკოვი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ა. ი. მიქოიანსა და ვ. ვოდაკს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მ. პ. გიორგაძემ და ვ. ს. სემიონოვმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს კომისიებში

9 და 10 ივლისს კრემლში ამხ. გ. ი. ვორობიოვის და ამხ. ნ. ზარიპოვას თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიების სხდომები.

№ 21 (254)
ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიებმა განიხილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ სესიასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

გარდა ამისა, კომისიებმა განიხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონი და რა ღონისძიებებია საჭირო არასრულწლოვანთა მიერ სამართლის დარღვევის თავიდან ასაცილებლად. ამ საკითხზე მოისმინეს ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის თავმჯდომარის ამხ. ნ. ზარიპოვას მოხსენება, აგრეთვე რსფსრ განათლების მინისტრის ე. ი. აფანასენკოს, ყირგიზეთის სსრ სახალხო განათლების მინისტრის ამ'ბ. ა. კანიმეტოვას, აზერბაიჯანის სსრ განათლების მინისტრის ამხ. მ. მ. მეხტი-ზადეს, ყირგიზეთის სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის ამხ. ვ. ს. უშაკოვის და აზერბაიჯანის სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილის ამხ. ხ. ს. ჯანი-ზადეს ცნობები.

კომისიებმა განიხილეს აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების, წყლის კანონმდებლობის საფუძვლების და სსრ კავშირში ერთიანი აღრიცხვისა და სტატისტიკის კანონის პროექტების მომზადების საკითხები. ამ კანონპროექტების მოსამზადებლად კომისიებმა შექმნეს შესაბამისი ქვეკომისიები.

საკანონმდებლო კანონგანზრახულებათა კომისიების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ი. ვ. პეივემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. მ. პ. გიორგაძემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეებმა ამხ. ნ. რ. მირონოვმა, ამხ. ვ. ი. ლაპუტინმა, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. ა. თ. გორკინმა, სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა ამხ. რ. ა. რუდენკომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ა. ჰ. ვოლკოვმა, პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანმა ამხ. ა. ა. ბულგაკოვმა, სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ამხ. ვ. კ. სიტნინმა, სხვა სამინისტროების და უწყებების ხელმძღვანელებმა, მეცნიერებმა.

* *
*

ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურმა კომისიამ 8-10 ივლისს კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ო. ი. ივაშჩენკოს თავმჯდომარეობით ჩაატარა მორიგი სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან.

სხდომაზე მოისმინეს სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული მსუბუქი მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის მოხსენებანი იმაზე, თუ როგორ სრულდება კომისიის წინადადებანი სსრ კავშირის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების სახელმწიფო გეგმის ირგვლივ სამშენებლო ინდუსტრიის, ტრიკოტაჟის მრეწველობის, ჯანმრთელობის დაცვის და სამედიცინო მრეწველობის განვითარების ირგვლივ, აგრეთვე იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს მოკავშირე რესპუბლიკებში სკოლების, საავადმყოფოებისა და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობა.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მინისტრებმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

ეკონომიურმა კომისიამ აღნიშნა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები ასრულებენ კომისიის წინადადებებს. ამასთან ერთად სხდომაზე აღნიშნეს ცალკეული ნაკლოვანებანი კომისიის წინადადებათა შესასრულებლად გაწეულ მუშაობაში. შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი კომისიის წინადადებათა შესასრულებლად.

საკონსტიტუციო კომისიის სხდომა

16 ივლისს კრემლში გაიმართა მორიგი სხდომა საკონსტიტუციო კომისიისა, რომელიც აირჩია სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებლად.

საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მოხსენება გააკეთა საკონსტიტუციო კომისიის მიერ ბოლო დროს გაწეული მუშაობის შესახებ. საკონსტიტუციო კომისიის ყველა ქვეკომისიამ მოამზადა მასალები მისი ცალკეული განყოფილებების მიხედვით. გარდა ამისა, საკონსტიტუციო კომისიაში შემოდის მშრომელთა მრავალი წერილი, რომელიც შეიცავს წინადადებებს მომავალი ძირითადი კანონის ხასიათისა და შინაარსის ირგვლივ. ყველა წერილს გულდასმით სწავლობენ და აგზავნიან შესაბამის ქვეკომისიაში.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოთქვა წინასწარი შენიშვნები იმ პრინციპების შესახებ, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს.

ახალ კონსტიტუციაში სრული გამოხატულება უნდა ჰპოვოს მარქსიზმ-ლენინიზმის, სკკპ პროგრამის იდეებმა კომუნისტურ საზოგადოებაზე, კომუნიზმის მშენებლობაში ხალხის მასების, კომუნისტური პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლზე.

ახალი კონსტიტუციის ხასიათს განსაზღვრავს საბჭოთა საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპი. ახალი კონსტიტუცია მიღებული იქნება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების პირობებში და იგი უნდა იქნეს საერთო-სახალხო სოციალისტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოს კონსტიტუცია, საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოსი, რომლის მიზანია კომუნისტური საზოგადოების აშენება.

ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ კონსტიტუციის პროექტის შედგენისას საჭიროა ჩვენ მთლიანად გავითვალისწინოთ ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მშენებლობის უდიდესი გამოცდილება, რომელსაც საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭება, გამოვიყენოთ ვ. ი. ლენინის დიდი იდეური მემკვიდრეობა, მისი მითითებანი საკონსტიტუციო მშენებლობის საკითხებზე.

შემდეგ საკონსტიტუციო კომისიამ მოისმინა ქვეკომისიების მოხსენებები:

— საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობის საკითხებისა (მომხსენებელი ამხ. გ. ი. ვორონოვი);

— სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის, საბჭოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის საკითხებისა (მომხსენებელი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი);

— ეკონომიური საკითხებისა და სახალხო მეურნეობის მართვა-გამგეობისა (მომხსენებელი ამხ. ა. ნ. კოსიგინი);

— ეროვნული პოლიტიკისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის საკითხებისა (მომხსენებელი ამხ. ა. ი. მიქოიანი);

— მეცნიერებისა და კულტურის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებისა (მომხსენებელი ამხ. ვ. პ. ელიუტინი);

— სახალხო კონტროლისა და სოციალისტური მართლწესრიგის საკითხებისა (მომხსენებელი ამხ. ნ. მ. შვერნიკი);

— საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებისა (მომხსენებელი ამხ. ბ. ნ. პონომარიოვი).

საკონსტიტუციო კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

გაგრძელდეს საკონსტიტუციო კომისიის ქვეკომისიების მუშაობა. დაევალოს ქვეკომისიების თავმჯდომარეებს და სარედაქციო ქვეკომისიას გაითვალისწინონ ეს სხდომა, განაზოგადონ ქვეკომისიების მიერ შემოტანილი წინადადებები და საკონსტიტუციო კომისიას განსახილველად წარუდგინონ თავისი მოსაზრებანი ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

390 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ 1964 წლის პირველ ნახევარში

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1964 წლის პირველი ნახევრის სტატის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკური ანგარიშების ანალიზით ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდში საგრძნობლად გაუმჯობესდა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, განმტკიცდა დეპუტატების კავშირი მასებთან, ამაღლდა საბჭოების ორგანიზატორული როლი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში. გააქტიურდა მათი ბრძოლა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

გაუმჯობესდა სესიების მომზადების პრაქტიკა, ადგილობრივი საბჭოების 96,4 პროცენტმა სესიები ჩაატარა კონსტიტუციით დადგენილ ვადებში.

მრავალფეროვანი და აქტუალურია სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე განხილული საკითხები, რომელთა მომზადებაში ფართოდ მონაწილეობენ დეპუტატები, მუდმივი კომისიები და მშრომელთა აქტივი.

მეტი ყურადღება ეთმობა ანგარიშგებას ამომრჩეველთა წინაშე და მათი განაწესების შესრულებას. მიმდინარე წლის ექვს თვეში ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა 30116 დეპუტატმა ანუ 65 პროცენტმა. ამ მხრივ კარგი მდგომარეობაა მაიაკოვსკის, მცხეთის, ახალციხის, ჩოხატაურის და თიანეთის რაიონებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, სადაც დეპუტატების 90-100 პროცენტმა ჩააბარა ანგარიში ამომრჩევლებს.

საგრძნობლად გაუმჯობესდა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობა, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ სესიებისა და აღმასკომების სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში, გამოდიან მოხსენებებით და თანამოხსენებებით, შეაქვთ პრაქტიკული წინადადებები და პერიოდულად აბარებენ ანგარიშს საბჭოებს.

საანგარიშო პერიოდში მუდმივმა კომისიებმა სესიებისა და აღმასკომის სხდომებისათვის 12463 საკითხი მოამზადეს, ამავე დროს 2534 მუდმივმა კომისიამ ანგარიში ჩააბარა შესაბამის საბჭოს. კარგად მუშაობენ მაიაკოვსკის, თელავის, მახარაძის, დუშეთის რაიონული, გორის, ლანჩხუთის საქალაქო, მაიაკოვსკის, გარდაბნის სადაბო, თელავის, გურჯაანის, გარდაბნის რაიონების სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა მშრომელთა მასების მონაწილეობა სახელმწიფო მმართველობის საქმეში. რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან შექმნილია და მოქმედებს 180 შტატგარეშე განყოფილება, რომელთა მიერ 1964 წლის 6 თვეში სესიებისათვის და აღმასკომის სხდომებისათვის მომზადებულია 269 საკითხი.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგიერთი საბჭოს აღმასკომს ჯერ კიდევ არ გაუკეთებია სათანადო დასკვნები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებებიდან საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, რის შედეგად ადგილი აქვს სესიების მოწვევის კონსტიტუციით დადგენილი ვადების დარღვევას. რესპუბლიკის 1040 ადგილობრივი საბჭოდან სესიების მოწვევის ვადები დაარღვია 38 საბჭომ. ხაშურის, ლანჩხუთის, საგარეჯოს, ცაგერის, თეთრი წყაროს, ცხაკაიას რაიონულმა, ჭიათურის საგარეჯოს საქალაქო, ცაგერის და მარნეულის რაიონის ბედიანის სადაბო საბჭოებმა ნაცვლად სამი სესიისა ჩაატარეს ორ-ორი სესია. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მხოლოდ 36 პროცენტმა ჩააბარა ანგარიში მოსახლეობას. დეპუტატთა გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ დროულად არ აბარებს ანგარიშს ამომრჩევლებს. 1964 წლის პირველ ნახევარში ჭიათურის საქალაქო, ზუგდიდის, სიღნაღის, წულუკიძის და გეგეჭკორის რაიონული საბჭოების არცერთ დეპუტატს არ ჩაუბარებია ანგარიში ამომრჩევლებისათვის. ასევე არადამაკმაკმაყოფილებელი მდგომარეობა საჩხერის, სიღნაღის საქალაქო, ორჯონიკიძის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, მარნეულის რაიონის ბედიანის სადაბო, საჩხერის და ამბროლაურის რაიონების სასოფლო საბჭოებში.

ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი დროულად არ აწყობს არჩევნებს გასულ დეპუტატთა ნაცვლად, რომელთა რიცხვი 1964 წლის 1 ივლისისათვის 83 შეადგენდა.

სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების, მათი მოადგილეების და მდივნების ხშირი ცვლა. მიმდინარე წლის ექვს თვეში შეიცვალა 85 თავმჯდომარე, 39 მოადგილე და 63 მდივანი, არის შემთხვევები, როცა აღმასკომის თავმჯდომარეებად, მოადგილეებად და მდივნებად არადეპუტატებს ირჩევენ, დღეისათვის ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებად, თავმჯდომარის მოადგილეებად და მდივნებად არჩეულია 89 არადეპუტატი.

ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების საქმიანობაში. ზოგიერთი მათგანი ნაკლებ ინიციატივას იჩენს საკითხების მომზადებაში. მაგალითად, საგარეჯოს, ცაგერის, ხაშურის, თიანეთის და წყალტუბოს რაიონული საბჭოების მუდმივი კომისიების უმრავლესობას არც ერთი საკითხი არ მოუმზადებია და განსახილველად არ დაუყენებია სესიის ან აღმასკომის წინაშე. ხოლო ახმეტის, თეთრი წყაროს, საგარეჯოს, ცაგერის რაიონული, ცხაკაიას და საგარეჯოს საქალაქო საბჭოების მუდმივ კომისიებს ანგარიში არ ჩაუბარებიათ შესაბამისი საბჭოებისთვის.

ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში არსებული ეს და სხვა ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი საჭირო ანალიზს არ უკეთებს თავის საქმიანობას, არ იღებს კონკრეტულ ზომებს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) მიაღწიონ იმას, რომ საბჭოების ყველა დეპუტატი პერიოდულად ხვდებოდეს თავის ამომრჩევლებს, აბარებდეს ანგარიშს და აცნობდეს მათ ზემდგომი

მუნ. ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებებს. დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ამომრჩეველთა წინადადებებისა და განაწესების შესრულებისათვის;

ბ) ზუსტად დაიცვან სესიის მოწვევის კონსტიტუციური ვადები და მათ სხდომებზე განიხილონ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის აქტუალური საკითხები, ამასთან სესიებისა და აღმასკომებისათვის საკითხების მომზადებასა და განხილვაში ფართოდ ჩააბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები და საბჭოების აქტივი;

გ) გააუმჯობესონ მუდმივი კომისიების მუშაობა. მიაღწიონ იმას, რომ მუდმივი კომისიები უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ საბჭოების პრაქტიკულ მუშაობაში, მეტ ინიციატივას იჩენდნენ სესიებისა და აღმასკომების სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში, გამოდიოდნენ თანამოხსენებებით და შესაბამის საბჭოებს პერიოდულად აბარებდნენ ანგარიშს თავიანთი საქმიანობის შესახებ;

დ) მეტი პრაქტიკული დახმარება გაუწიონ და სწორად წარმართონ მშრომელთა თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა, ყოველნაირად აამაღლონ მათი როლი და აქტიურად ჩააბან ისინი საბჭოების ყოველდღიურ საქმიანობაში;

ე) უახლოეს დროში განიხილონ საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის მდგომარეობა და განახორციელონ ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას (ამხ. მ. პ. ბალათურია) კონტროლი გაუწიოს აღნიშნული დადგენილების შესრულებას და პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 24 ივლისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

391 წულუკიძის რაიონის გამოჩინებულის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გამოეყოს წულუკიძის რაიონის ოფეთის სასოფლო საბჭოს სოფლები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემო აბაშა და ქვემო აბაშა და შეიქმნას მათგან გამოჩინებულის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ზემო აბაშაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 24 ივლისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

392 ახალციხის, გორის, გეგეჭკორისა და დუშეთის რაიონებში ზოგიერთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ცვლილებათა შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს ახალციხის, გორის, გეგეჭკორისა და დუშეთის რაიონული საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობანი და გატარდეს შემდეგი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებანი:

ახალციხის რაიონში:

გაუქმდეს ოთას სასოფლო საბჭო და სოფელი ოთა მიეკუთვნოს ასპინძის სადაბო საბჭოს;

გამოეყოს სოფლები გომარო და ზანავი დიდი სმადის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს ადიგენის სადაბო საბჭოს;

გამოეყოს სოფელი ხერთვისი ტოლოშის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს ნაქალაქევის სასოფლო საბჭოს.

გორის რაიონში:

გამოეყოს სოფლები, ველები და ავკვეთი ატენის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს ქვახვრელის სასოფლო საბჭოს;

გამოეყოს სოფელი ქვემო ხვითი ნიქოზის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს შინდისის სასოფლო საბჭოს.

ტერიტორიულად შეზრდის გამო გაერთიანდეს:

გვერძინეთის სასოფლო საბჭოს სოფლები ზემო ელბაქიანი და ქვემო ელბაქიანი და ეწოდოს სოფელი ელბაქიანი;

ბრეთის სასოფლო საბჭოს სოფლები პირველი წვერი და მეორე წვერი და ეწოდოს სოფელი წვერი; ამავე საბჭოს სოფლები ედილაანთუბანი და ბრეთი და ეწოდოს სოფელი ბრეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგეჭკორის რაიონში:

გაუქმდეს ნაგვაზაოს სასოფლო საბჭოს სოფელი ლეჯღარკე სოფელ ქვემო ნაგვაზაოსთან ტერიტორიულად შეზრდის გამო და ინჩხურის სასოფლო საბჭოს სოფელი ლემოსიავე სოფელ დიდ ინჩხურთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

დუშეთის რაიონში:

გამოეყოს სოფლები ვარცლა და დოლოშა ჟინვალის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს ხეობის სასოფლო საბჭოს;

გამოეყოს სოფლები არბოეთი, თხილოვანი და ტონჩა გრემისხევის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს ჭონქაძის სასოფლო საბჭოს;

გამოეყოს სოფლები ნოჯა და ნოჯიკეთი ხეობის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს ლაფანაანთკარის სასოფლო საბჭოს;

გამოეყოს სოფელი კაწალხევი გუდამაყრის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს მაღაროსკარის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 24 ივლისი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

393 ჯ. ჯაბარლის სახელობის კიროვაბადის სახელმწიფო დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1964 წელს გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის ჯ. ჯაბარლის სახელობის კიროვაბადის სახელმწიფო დრამატული თეატრი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 25 ივლისი.

№ 24 (1964)
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბანყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი აბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 24 ივლისის ბრძანებულებით დააჯილდოვა „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით 675 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	56
ქ. რუსთავიდან	10
ქ. ზუგდიდიდან	3
ქ. სამტრედიიდან	8
ახალციხის რაიონიდან	18
ახალქალაქის „	52
ამბროლაურის „	10
ბოლნისის „	251
გურჯაანის „	3
თელავის „	3
თეთრიწყაროს „	25
ლანჩხუთის „	5
მაიაკოვსკის „	14
მესტიის „	28
საგარეჯოს „	44
საჩხერის რაიონი	81
სიღნაღის რაიონიდან	19
ყვარლის „	23
ჩოხატაურის „	4
წყალტუბოს „	18